ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №895963

ნომერი: AR1159636

თარიღი : 05.09.2013

გაცემის თარიღი : 12.09.2013

გაცნობის თარიღი : 19.09.2013

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კარალეთის ქუჩა N5 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ ყვავაძე პ/ნ 01006001455
- ქ>თბილისი დიღმის მასივი მე-4 კვარტ 20კორბინა 28

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღია ავტოსადგომის მოწყობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ,

ქ. თბილისში, სექტორი – დიდუბე, კარალეთის ქ. #5 (ნაკვ. #051/013) მიმართებაში დამუშავდა განაშენიანების რეგულირების ე.წ. „ჩარჩო გეგმა“, რომელიც განსაზღვრავს ამ ტერიტორიების ქალაქმშენებლობითი განვითარების სტრატეგიულ მიმართულებას, დაზუსტებულ ზონებს და ქვეზონებს, ძირითად სატრანსპორტო მაგისტრალებს, მათ მიმართულებებს, კავშირებსა და კატეგორიებს. გამომდინარე იქედან, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადება სრულ შეუსაბამობაშია ზემოაღნიშნულ „ჩარჩო გეგმასთან“ და ეწინააღმდეგება ამ დოკუმენტით განსაზღვრულ განვითარების ძირითად პრინციპებს, ამასთანავე საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს მნიშვნელოვან საკვანძო ადგილს, ცენტრალური ქუჩიდან აღნიშნულ ტერტორიაზე უსაფრთხო შესვლა ვერ მოხერხდება, რომელიც მნიშვნელოვნად შეაფერხებს საგზაო მოძრაობას. შესაბამისად სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა ქ. თბილისში, სექტორი – დიდუბე, კარალეთის ქ. #5(ნაკვ. #051/013) ღია ავტოსადგომისა და შლაგბაუმის მოწყობასთან დაკავშირებით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური არ ადასტურებს აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე შლაგმაუმისა და ღია ავტოსადგომის განთავსების შესაძლებლობას.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge